

# პარლამენტის რეგლამენტის ახალი პროექტი, რომელსაც საკანონმდებლო ორგანო პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა, სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს ცვლილებებს ნდობის ჯგუფის მიერ თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის მიმართულებით. კანონპროექტით უქმდება „ნდობის ჯგუფის შესახებ“ საქართველოს კანონი. ნდობის ჯგუფის საქმიანობა პარლამენტის რეგლამენტით რეგულირდება.

პარლამენტის რეგლამენტის ახალი პროექტი, რომელსაც საკანონმდებლო ორგანო პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა, სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს ცვლილებებს ნდობის ჯგუფის მიერ თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის მიმართულებით. კანონპროექტით უქმდება „ნდობის ჯგუფის შესახებ“ საქართველოს კანონი. ნდობის ჯგუფის საქმიანობა პარლამენტის რეგლამენტით რეგულირდება.

<b>კანონპროექტი, ინიციატორი</b>
<b>საკანონმდებლო ინიციატივა:</b> <a href="#">საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი</a>
<b>ინიციატორი:</b> პარლამენტის წევრები: ირაკლი კობახიძე, თამარ ჩუგოშვილი, ირინე ფრუიძე, გიორგი ვახიანი, ანრი ოხანაშვილი, ევა ბესელია, მამუკა მდინარაძე, არჩილ თალაკვაძე, ირაკლი სესიაშვილი, ირაკლი ბერაია, გურამ მაჭარაშვილი
<b>ავტორი:</b> პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თამარ ჩუგოშვილი

<b>კანონპროექტის არსი</b>
თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების საქმიანობას პარლამენტი აკონტროლებს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის, ნდობის ჯგუფის და დარგობრივი სპეციალიზაციის კომიტეტების მეშვეობით.
კანონპროექტით მნიშვნელოვნად არ იცვლება ნდობის ჯგუფის მანდატი. სპეციალური პროგრამებისა და საიდუმლო საქმიანობის საბიუჯეტო კონტროლთან ერთად, ნდობის ჯგუფი ზედამხედველობს საიდუმლო ნორმატიული აქტების შინაარსს.

## 1. ნდობის ჯგუფის კონსტრუქციული უწყებები

მოქმედი ჩრდეთი	შეერთებული შტატების
<ul style="list-style-type: none"><li>თავდაცვის სამინისტრო</li><li>შინაგან საქმეთა სამინისტრო</li><li>სსიპ - ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო</li><li>აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ სპეციალურ პროგრამებს და გააჩნიათ საიდუმლო საქმიანობის ბიუჯეტი.</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>თავდაცვის სამინისტრო</li><li>შინაგან საქმეთა სამინისტრო</li><li>იუსტიციის სამინისტრო</li><li>სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური</li><li>დაზვერვის სამსახური</li><li>სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური</li><li>სსიპ – ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო</li></ul>

## 2. ნდობის ჯგუფისთვის ინფორმაციის წარმართვა უარის საუბრები

მოქმედი ჩრდეთი	შეერთებული შტატების
<ul style="list-style-type: none"><li>ასეთი საფუძვლები კანონით განვრცობილი არ არის.</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>მიმდინარე საქმეებსა და დონისძიებებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება;</li><li>ისეთი ინფორმაციის, მათ შორის ნორმატიული აქტის მიწოდება, რომელიც დაკავშირებულია საქმიანობის ფარულ ფორმებთან და მეთოდებთან.</li></ul>

## 3. მოხსენების წარმართვა ნდობის ჯგუფისთვის

მოქმედი ჩრდეთი	შეერთებული შტატების
<ul style="list-style-type: none"><li>აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ სპეციალურ პროგრამებს და გააჩნიათ საიდუმლო საქმიანობის ბიუჯეტი, ნდობის ჯგუფს წელიწადში არანაკლებ ერთხელ <b>წარუდგენენ მოხსენებებს განუვლი და მიმდინარე საქმიანობის შესახებ.</b></li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებები, სსიპ - ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს გარდა, ნდობის ჯგუფს წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 15 აპრილისა <b>წარუდგენენ წინა წლის საიდუმლო საქმიანობის საბიუჯეტო ანგარიშს</b></li><li>სსიპ - ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო - ყოველწლიურად წარუდგენს მის მიერ განუვლი საქმიანობის სტატისტიკურ და განზოგადებულ ანგარიშს.</li></ul>

## 4. ნდობის ჯგუფის სხდომების მოწვევა

მოქმედი ჩრდეთი	შეერთებული შტატების
იმართება წელიწადში ორჯერ ან საჭიროებისამებრ, ნდობის ჯგუფის წევრების მიერ წევრის წინადადებით, თუ სხდომის ჩატარებას მხარს დაუჭერს ნდობის ჯგუფის წევრთა უმრავლესობა.	ნდობის ჯგუფის სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ. სხდომას იწვევს და წარმართავს ნდობის ჯგუფის თავმჯდომარე. სხდომა შესაძლოა მოწვეული იქნეს ნდობის ჯგუფის წევრების მიერ წევრის წინადადებით, თუ სხდომის ჩატარებას მხარს დაუჭერს ნდობის ჯგუფის წევრთა უმრავლესობა.

## 5. ნდობის ჯგუფისთვის საიდუმლო ნორმატიული აქტების წარმართვა

მოქმედი ჩრდეთი	შეერთებული შტატების
საიდუმლო ნორმატიული აქტის ნდობის ჯგუფისთვის წარმართვა არ არის გათვალისწინებული	საიდუმლო ნორმატიული აქტის მიღების შემთხვევაში ყველა უწყება ვალდებულია ნდობის ჯგუფს გააცნოს აქტი თუ ის შეიცავს უწყების სტრუქტურისა და ქვედანაყოფების ამოცანების შესახებ ინფორმაციას.

## 6. სხვადასხვა სტრუქტურული უწყებების მიზნით ვიზიტი

მოქმედი ჩრდეთი	შეერთებული შტატების
<ul style="list-style-type: none"><li>ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შემონმება წელიწადში არაუმეტეს ორჯერ.</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შემონმება წელიწადში არაუმეტეს ორჯერ</li><li>ნდობის ჯგუფის წევრები, თავმჯდომარის თანხმობით, უფლებამოსილი არიან განახორციელონ ვიზიტები საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებში (გარდა სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოსა)</li><li>ჯგუფის წევრები უფლებამოსილი არიან გაესაუბრონ უწყების თანამშრომლებს და გაეცნონ ნდობის ჯგუფის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციას</li><li>ვიზიტთან დაკავშირებით ინფორმაცია შესაბამის უწყებას ეგზავნება ვიზიტის დაწყებამდე</li></ul>

## შეჯამება/რეკომენდაცია

კანონპროექტით გარკვეულწილად ფართოვდება ნდობის ჯგუფის მანდატი, თუმცა წარმოდგენილი ცვლილებები არ არის საკმარისი უსაფრთხოების სექტორზე ეფექტური კონტროლის განსახორციელებლად.

საპარლამენტო კონტროლი წარმოდგენს უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის ძირითად კომპონენტს, რაც საერთაშორისო პრაქტიკითაც დასტურდება.<sup>1</sup> მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით კანონმდებლობის არა ფორმალური გაუმჯობესება, არამედ კონტროლის რეალური და ეფექტური მექანიზმების შექმნა.

წარმოდგენილ კანონპროექტში დადებითად უნდა შეფასდეს:

- უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების ჩამონათვალის რეგლამენტში განერა, რაც უზრუნველყოფს როგორც საკომიტეტო კონტროლის გაფართოვებას, ასევე ხელს შეუწყობს უწყებათა პარლამენტთან ანგარიშვალდებულების მრდას.

- ნორმატიული აქტის მიღების შემთხვევაში უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებები, აგრეთვე პრემიერმინისტრი და მთავრობა ვალდებულია ნდობის ჯგუფს გააცნოს აქტი თუ ის შეიცავს უწყების სტრუქტურისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითადი ამოცანების შესახებ ინფორმაციას.

**აღნიშნული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, არსებული საკანონმდებლო ჩარჩო, ეფექტური მანდატი და მაკონტროლებლის ინფორმაციის წოდების ხარისხი არ ქმნის ეფექტურ ზედამხედველობის განხორციელების წინაპირობას თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორზე.** კანონპროექტი არ ითვალისწინებს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტისა და ნდობის ჯგუფისთვის ზოგადი უფლებამოსილებების მიღმა ეფექტიანი კონტროლისთვის აუცილებელი ინსტრუმენტების მინიჭებას.

უსაფრთხოების სექტორის ეფექტური და სრულფასოვანი კონტროლისათვის კანონმდებლობაში ცვლილებები შემდეგი მიმართულებით უნდა განხორციელდეს:

- უსაფრთხოების სისტემის მაკონტროლებელ პარლამენტის სპეციალიზირებული სტრუქტურის წევრებს (მაგ., კომიტეტი, ქვეკომიტეტი, ნდობის ჯგუფი და აშ) უნდა ირჩევდეს პარლამენტი და მათ სრული დაშვება უნდა ჰქონდეთ სახელმწიფო საიდუმლოებასთან. გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ ინფორმაცია მიმდინარე ოპერაციების შესახებ. სპეციალიზირებული სტრუქტურის წევრები უნდა გაეცნოს მათ ინფორმაციას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მიწოდებულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების მიზნით, ხოლო დასკვნა პარლამენტისთვის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს უნდა ატარებდეს. კონტროლის სპეციალიზირებული სტრუქტურის სხდომები ნებისმიერი წევრის მოწვევით უნდა იმართებოდეს.

- მაკონტროლებელ კომიტეტთან შეიქმნას ექსპერტთა საზედამხედველო მუდმივმოქმედი საბჭო, რომელიც პერმანენტულ რეჟიმში გააკონტროლებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს და პასუხისმგებელი იქნება პარლამენტის წინაშე. საზედამხედველო საბჭოს წევრები უნდა იირჩეოდნენ პარლამენტის მიერ. მხოლოდ პროფესიონალთა მიერ განხორციელებული, სისტემატიური და ყოვლისმომკვეთი კონტროლითაა შესაძლებელი უსაფრთხოების სექტორიდან ინფორმაციის როგორც მოპოვება, ისე დამუშავება, გაანალიზება და რისკების შეფასება.

- უსაფრთხოების სექტორის მაკონტროლებელ სპეციალიზირებულ სტრუქტურას უნდა გააჩნდეს შემდეგი უფლებამოსილებები:

- » გეგმიურ და არაგეგმიურ ვიზიტებთან ერთად გაეცნოს მისი კონტროლის სფეროს დაქვემდებარებულ დაწესებულებებში დაეცულ დოკუმენტაციას და მასალებს, მათ შორის იმ აქტებსაც, რომლებიც დაკავშირებულია უწყებების საქმიანობის ფარულ ფორმებთან და მეთოდებთან. არც ერთი დანესვებულების შემონმების დროს არ უნდა იყოს დადგენილი ვიზიტების რაოდენობრივი ზედა ზღვარი.

- » განახორციელოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და მისი სტრუქტურულ დაქვემდებარებაში მყოფი ერთეულების მფლობელობაში არსებული ტექნიკური აღჭურვილობის აუდიტი

- » განიხილოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის საქმიანობის ყოველწლიური საიდუმლო ანგარიში და საჭიროებისამებრ მოსთხოვოს მას რიგარეგულარულ ანგარიშის წარდგენა მათ შორის ფარული დონისძიებების და დასრულებული ოპერაციების შესახებ

- » მიიღოს და შეისწავლოს საქმიანობის სფეროსთან კავშირში მყოფი განცხადებები, საჩივრები, მათ შორის ფარული დონისძიებების შესახებ გააკონტროლოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში პერსონალურ მონაცემთა დაცვა

- » შეიმუშაოს და წარუდგინოს კონკრეტული რეკომენდაციები და მიმართვები სპეციალიზირებულ კომიტეტს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში არსებულ დარღვევებზე და პრობლემებზე, მათ შორის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე, ასევე სპეციალური საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ.

1 ვრცლად იხილეთ „უსაფრთხოების სამსახურის რეფორმა საქართველოში, შედეგები და გამოწვევები“, 2018. <https://bit.ly/2NVTQEB>